ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეჩხუმი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის საინფორმაციო გამოცემა №1 (72) იანვარი, 2024 წელი

წიფერჩის საბავშვო ბაღში სააღმზრდელო პროცესი განახლდა

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფერჩის ახალ საბავშვო ბაღში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი განახლდა.

პროექტის ფარგლებში მოეწყო კომფორტული სასწავლო-სააღმზრდელო სივრცე შიდა და გარე სივრცეები, რეკრეაციული ზონები, კომუნიკაციები და სველი წერტილები. საბავშვო ბაღი სრულად აღიჭურვა განახლებული ინვენტარით. იგი სრულად ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის და გათვლილია 30 აღსაზრდელზე.

სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა.

დასრულებული პროექტი რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა – **პაპუნა მარგველიძემ**, მაჟორიტარ დეპუტატთან **გოჩა ენუქიძესთან** და ცაგერის მუნიციპალიტეტის მერთან, **ლევან ზალკალიანთან**, საკრებულოს თავმჯდომარესთან, **ჭაბუკი ჭაბუკიანთან** და ხელმძღვანელ პირებთან ერთად მოინახულა. ბავშვებს, მშობლებს და პედაგოგებს განახლებულ სივრცეში სწავლის დაწყება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

აღსანიშნავია, რომ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, ასევე დაგეგმილია 5 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით განხორციელდება. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს.

4 იანვარი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის დაბადების დღეა, მას 91 წელი შეუსრულდა.

უდიდესი პატივისცემით ვულოცავთ მის უწმინდესობას დაბადების დღეს!

ვუსურვებთ დღეგრძელობას და ჯანმრთელობას, უფალმა გააძლიეროს!



საკრებულოში

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა (31.01.2024 წელი).

სხდომა გახსნა და დღის წესრიგი გააცნო დეპუტატებს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ჭაბუკი ჭაბუკიანმა**.

მიღებულ იქნა **დადგენილება**:

„ცაგერის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მიღებულ იქნა **განკარგულება**:

„ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ცაგერში, აღმაშენებლის ქ. №73-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ89.03.21.224) №1 შენობის მეორე სართული და №2 შენობის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) ერთი წლის ვადით ა(ა)იპ „ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრისთვის“ (ს/ნ 442570004) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

სამუშაო თათბირი მერიაში

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში მერის პირველმა მოადგილემ, **მამუკა ხიმშიაშვილმა**, მერის მოადგილესთან, **რევაზ ახვლედიანთან** ერთად, სამუშაო თათბირი გამართა.

თათბირს ესწრებოდნენ მერის წარმომადგენლები ტერიტორიულ ერთეულებში, მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები.

თათბირზე განიხილეს ტერიტორიულ ერთეულებში მიმდინარე სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტები, აგრეთვე ის პროგრამები, რომელთა განხორციელება დაგეგმილია მიმდინარე წლისთვის.

განიხილეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" განხორციელებული პროექტები. მიმდინარე წელს, განსახორციელებელი პროექტების შერჩევის მიზნით, საერთო კრებები ლეჩხუმის სოფლებში პირველ თებერვალს დაიწყება.

მერის წარმომადგენლებისგან მიიღეს დეტალური ინფორმაცია მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, პრობლემებსა და გამოწვევებზე.

ხელმძღვანელებმა კონკრეტული დავალებები გასცეს რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით.

კულტურის ცენტრის შემოქმედებითი საღამო ლეჩხუმის საზოგადოებას

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ კულტურის ცენტრთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფები და ინდივიდუალური შემსრულებლები, ქორეოგრაფიული ანსამბლები- „ლეჩხუმი" და „ახალი თაობა", ლეჩხუმელი ახალგაზრდები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ალუდა თუთისანი,** ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი **ლევან ზალკალიანი**, მერის მოადგილეები – **მამუკა ხიმშიაშვილი, რევაზ ახვლედიანი**, საკრებულოს თავმჯდომარე **ჭაბუკი ჭაბუკიანი**, მოადგილე – **მარიკა კოპალიანი**.

ცაგერის კულტურის ცენტრმა შთამბეჭდავი შემოქმედებითი საღამო აჩუქა ლეჩხუმის საზოგადოებას.

გასული წლის შეჯამებით დასახეს სამომავლო გეგმები

სახელმწიფო რწმუნებულის – **პაპუნა მარგველიძის** და მაჟორიტარი დეპუტატის – **გოჩა ენუქიძის** ხელმძღვანელობით ცაგერში გაფართოებული სამუშაო თათბირი გაიმართა, რომელსაც სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები, მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, სამსახურის უფროსები და ა(ა)იპების ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

სამუშაო შეხვედრაზე ხელისუფლების წარმომადგენლებმა გასული წელი შეაჯამეს და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

აღინიშნა, რომ სულ მალე ცაგერში დიალიზის სერვისი ამოქმედდება და ეს იქნება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში მეორე დიალიზის კაბინეტი, სადაც პაციენტები აუცილებელ სამედიცინო სერვისს, ადგილზე, მიიღებენ. ახალი კაბინეტი კი ძირითადად ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებსა და მიმდებარე სოფლების მცხოვრებლებზე იქნება გათვლილი.

აღსანიშნავია, რომ ახალ 2024 წელს ცაგერის მუნიციპალიტეტს მნიშვნელოვნად გაეზარდა ბიუჯეტი, რომლის ფარგლებშიც მაქსიმალურად დაფინანსდება პრიორიტეტული პროექტები. განსაკუთრებული ყურადღება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2024"-ზე გამახვილდა, რომლის ფარგლებშიც პრიორიტეტების გამოვლენის მიზნით, მოსახლეობასთან შეხვედრები 1-ლი თებერვლიდან დაიწყება.

თათბირის მიმდინარეობისას ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოისმინეს ინფორმაციები მიმდინარე პროცესებისა და სხვადასხვა სფეროში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და გაეცნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების მიერ წარმოდგენილ საქმიანობის ანგარიშს.

თათბირის დასასრულს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ახლად აშენებული წიფერჩის საბავშვო ბაღი დაათვალიერეს, ადგილზე გაეცნენ სასწავლო სააღმზრდელო პროცესს. ბავშვებს, მშობლებს და პედაგოგებს განახლებულ გარემოში სწავლის დაწყება მიულოცეს.

მსგავსი სახის შეხვედრები რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებში კვლავ გაგრძელდება.

უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე 91 წლისაა

ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი სულიერი წინამძღვარი ჰყავს. დღეგრძელობას, ჯანმრთელობას და მხნეობას ვუსურვებ ჩვენს პატრიარქს.

ირაკლი ღარიბაშვილი

ქრისტესშობას ვულოცავ ზეციურ და მიწიერ სამყაროს, ყველას გლოცავთ! სულიერად განმტკიცდით და გაძლიერდით!

თქვენთვის მლოცველი
ილია მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროშის დღე ვიზეიმეთ



14 იანვარს საქართველოში სახელმწიფო დროშის დღე აღინიშნა.

ამ დღესთან დაკავშირებით ცაგერის მუნიციპალიტეტში საქართველოს სახელმწიფო დროშები გამოიფინა.

სახელმწიფო დროშის დღე პირველად 2012 წლის 14 იანვარს აღინიშნა.

გილოცავთ სახელმწიფო დროშის დღეს! გისურვებთ მშვიდობას, წინსვლას და ერთიან სამშობლოს!

თანადგომა და დახმარება ალუთქვეს

სოფელ ქულბაქში ვაჟა კოპალიანის საცხოვრებელი სახლი დაიწვა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერმა **ლევან ზალკალიანმა**, მოადგილესთან, **რევაზ ახვლედიანთან** და ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსთან, **დავით ჩაკვეტაძესთან** ერთად, ვაჟა კოპალიანის ექვს სულიან ოჯახს მერიის მიერ შეძენილი პროდუქტი, ტანსაცმელი და საყოფაცხოვრებო ნივთები გადასცა.

უსახლკაროდ დარჩენილი ექვსსულიანი ოჯახი, მათ შორის არასრულწლოვანი, ამჟამად მეზობლის სახლში ცხოვრობენ.

მუნიციპალიტეტი მზადაა ოჯახს აუნაზღაუროს საცხოვრებელი ბინის ქირა, ასევე, კანონის ფარგლებში დაეხმაროს შესაბამისი თანხით.

იყო ზღაპრული გარემო, ისმოდა ქართული ჰანგები...

მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით საახალწლო ღონისძიებას ცაგერმა უმასპინძლა.

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილი იყო საშობაო ბაზრობა, საბავშვო, მეწარმეების და კვების სივრცეები. ტერიტორიაზე მოძრაობდნენ კოსტუმირებული საახალწლო და ზღაპრის გმირები.

საახალწლო ღონისძიებაზე ცაგერში გაიმართა ნუკრი კაპანაძის, ნათია პერანიძის, მაია ჯაბუას, მანანა თოდაძეს, ლიკა დოლიძის, აჩიკო ნიჟარაძის, ნუცა ქირიას, ანსამბლი „ქართული ხმების“ კონცერტი.

საკონცერტო პროგრამა წარმოადგინეს პიანისტ ნინო გულიაშვილისა და „ლაიქ ბენდის“ თანხლებით.

ღონისძიება საახალწლო ფოიერვერკით დასრულდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შობის მადლი შეგეწიოთ

შობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ტრადიციულად, „ალილოს“ სადღესასწაულო მსვლელობა გაიმართა.

მსვლელობას მამა გიორგი (მდივანი) უძღვებოდა.

ადგილობრივ მრევლთან ერთად „ალილოს“ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ალუდა თუთისანი**, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი **ლევან ზალკალიანი**, მოადგილე **რევაზ ახვლედიანი**, საკრებულოს თავმჯდომარე **ჭაბუკი ჭაბუკიანი** შეუერთდნენ საშობაო საჩუქრებით.

შეგროვილი შემოწირულობა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ოჯახებს გაუნაწილდათ.

ახალი წელი მიულოცეს

ახალი წლის ღამეს, ყველა დაწესებულებაში, საგანგებო რეჟიმში მომუშავე ადამიანებს ახალი წლის დადგომა მიულოცეს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ **ალუდა თუთისანმა**, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **რევაზ ახვლედიანმა**, საკრებულოს თავმჯდომარემ **ჭაბუკი ჭაბუკიანმა**, მოადგილემ – **გიორგი გუგავამ**.

ხელმძღვანელი პირები, მათ შორის, იმყოფებოდნენ ლაჯანურჰესში, საავადმყოფოში, პოლიციაში, სასწრაფო-სამედიცინო და სამაშველო დაწესებულებებში.

ამ დაწესებულებებში მომუშავე ადამიანებს სადღესასწაულო დღეებშიც უხდებათ სამუშაო რეჟიმში ყოფნა, ისინი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმეს ემსახურებიან.

მშვიდობიან და ბედნიერ წელიწადს გისურვებთ!

ტურნირი ჭიდაობაში

ქალაქ ონში, ჩატარდა მიხეილ მაისურაძის და როლანდ გოგრიჭიანის სახელობის ტურნირი, სადაც წარმატებით იასპარეზა ცაგერის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლასთან არსებულმა ჭიდაობის კლუბმა „თაკვერმა“.

პირველი ადგილი დაიკავეს:
ნიკოლოზ შერვაშიძემ (20 კგ),
ანდრია ურთმელიძემ (23 კგ),
ლუკა ჩიკვაიძემ (35 კგ),
ნიკოლოზ ურთმელიძემ (42 კგ).

მეორე ადგილი დაიკავეს:
დავით ჩიკვაიძემ (23კგ),
გიორგი ფრუიძემ (32 კგ),
ბესიკ ბახსოლიანმა (35 კგ)
გაბრიელ სვანიძემ (38 კგ).

მესამე ადგილი დაიკავეს:
ომარ გორგოშიძემ (26 კგ),
გიორგი მახარობლიძემ (32 კგ),
დაჩი მეგრელმა (35 კგ),
გიორგი ონიანმა (32 კგ).

წარმატებას ვუსურვებთ ნორჩ მოჭიდავეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ოცნება აგსრულებოდეთ

ცაგერის №1, №2 და ქვედა ცაგერის საბავშვო ბაღებში საახალწლო ღონისძიებები გაიმართა.

საზეიმო დეკორაციებით მორთულ ულამაზეს დარბაზებში პატარებმა სასიამოვნო მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები, ლექსები წარმოადგინეს.

სამივე ღონისძიების დასასრულს, ახალი წელი მიულოცეს პატარებს და დამსწრე საზოგადოებას №1 საბავშვო ბაღის გამგემ **ცარო გუგავამ**, №2 საბავშვო ბაღის გამგემ **ლელა კვირიკაშვილმა** და ქვედა ცაგერის საბავშვო ბაღის გამგემ **მადონა ლეთოდიანმა**.

ღონისძიებებს ესწრებოდნენ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **რევაზ ახვლედიანი**, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **მარიკა კოპალიანი**, სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა მართვის ცენტრის ხელმძღვანელი **მარინა ბურჯალიანი**, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსი **გოგი კვირიკაშვილი.**

ცაგერის მუნიციპალიტეტისგან და სკოლამდელი დაწესებულებათა მართვის ცენტრისგან პატარებს საახალწლო ტკბილეული დაურიგდათ.

მუზეუმმა შთამბეჭდავი ღონისძიებით გვიმასპინძლა

შემეცნებითი და გასართობი ღონისძიება მუზეუმის დირექტორის, **ნატო ზაქარიაძის**, მერიის და საკრებულოს წარმომადგენლების, საქართველოს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენლების და მუზეუმის თითოეული თანამშრომლის ჩართულობით ჩატარდა.

მუზეუმის ორგანიზებით და ცაგერის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით საზეიმო ვითარებაში დაჯილდოვდნენ და საჩუქრები გადაეცათ მუზეუმის ღვაწლმოსილ თანამშრომლებს: **ნუგზარ კოპალიანს, მაგული ღურჭუმალიძეს, მალვინა მინდაძეს** და **ქეთინო ბერიძეს**.

საჩუქრები პირადად გადასცეს მერის მოადგილემ **რევაზ ახვლედიანმა**, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **მარიკა კოპალიანმა** და განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსმა **გოგი კვირიკაშვილმა**.

ჩვენთან ერთად

ჩვენო ერთგულო მკითხველო! მოგესალმებით და ერთხელ კიდევ გილოცავთ ახალ წელს. ვისურვებდით, ფეხბედნიერი იყოს იგი თქვენთვის, თქვენი ოჯახებისთვის, სალეჩხუმოსა და სრულიად საქართველოსთვის.

2024 ახალი გამოწვევების, ამოცანებისა და ვალდებულებების წინაშე გვაყენებს. გაზეთ „ლეჩხუმის“ რედკოლეგია, როგორც ყოველთვის, კვლავაც შეეცდება საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ახალი შემართებით, ხედვით, ოსტატობით შეძლოს თქვენი ინტერესების აღქმა და გათვალისწინება, მკითხველის ინფორმირებულობის გაზრდა და მსახურება.

ლეჩხუმის აღმშენებლობის საქმეში ძალზე მნიშვნელოვანია გაზეთის როლი და პასუხისმგებლობა, თითოეული მკითხველის აქტივობა და გვერდში დგომა. ჩვენ ერთად შევძლებთ უფრო ქმედითი, მიმზიდველი და მოთხოვნადი გავხადოთ „ლეჩხუმი“. ჩვენის აზრით, კვლავაც აქტუალური თემებია ჩვენი კუთხის ისტორიის, წარსულის, ტრადიციების წარმოჩენა, იმ ადამიანების პოპულარიზაცია, რომლებმაც კეთილი საქმე აკეთეს და აკეთებენ დღესაც მშობლიური კუთხისთვის. ამავდროულად თვალი უნდა გავუსწოროთ ჩვენს გარშემო ყოველგვარ ნეგატიურს, ნაკლს, რომელიც აფერხებს ჩვენი ცხოვრების დონის გაუმჯობესებას და სათანადოდ ვამხილოთ.

ასე რომ, ურთიერთპატივისცემით, თანამშრომლობით, მართალი სიტყვისადმი ერთგულებით ჩვენ ერთად შევძლებთ გაზეთი „ლეჩხუმი“ ობიექტურად აშუქებდეს მიმდინარე პროცესებს, მოვლენებს, ზუსტად გრძნობდეს საზოგადოების მაჯისცემას.

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქცია

14 იანვარი ლეჩხუმის საამაყო შვილის, გამორჩეული ქართველი პოეტის ლადო ასათიანის დაბადების დღეა

„გიმზერ და მჯერა რომ ქართველობა არასოდეს არ გადაშენდება.“
ლადო

კრწანისის ყაყაჩოები

მეგობრები ერთად დავდიოდით თბილისის ქუჩებში-ყოველთვის, ყოველ დროს და გარს ვუვლიდით ,,პოეზიის უწმინდესი ადგილის დედას,“ საყვარელ დედაქალაქს.

კრწანისი... ყაყაჩოებით იყო გადაპილპილებული და ელვარე ხანძარი მოსდებოდა. ლადომ გადახედა ყაყაჩოების მობიბინე ზღვას და შესძახა: – შეხედეთ ამ ბებერ კრწანისს, როგორ აფეთქებულა და ბრდღვიალებს, ზეცა გადმოპირქვავებულა და წვრილ-წვრილი ვარსკვლავები დაუყრია ამ ველზე. დღეს სულ ყაყაჩოები გვხვდება, ყაყაჩო სიხარულისა და ბედნიერების მომასწავებელია. რამდენი სისხლი დაღვრილა აქ. უნდა დაიჩოქო და ეამბორო აქ დაღუპულ ვაჟკაცთა საფლავებს, უმღერო მათ დაკარგულ საფლავებს!

– „ეჰ, არაფერი არ მინდა ახლა, მხოლოდ სიმღერა, სხვა არაფერი“ – წარმოთქვა მირზამ (გელოვანი) ალიოშა საჯაიას ლექსის სტრიქონები, მერე ყაყაჩოებით აბიბინებულ ფერდობზე შეიჭრა, ხელს უსვამდა ყაყაჩოებს, ეალერსებოდა და თითქოს მუდარით გვეუბნებოდა: ხელი არ ვახლოთ, არ მოვწყვიტოთ, არ გავთელოთ.

მერე თაბორზე ამოვედით, ჩვენს თვალწინ გადაიშალა ულამაზესი სანახაობა და შემოგვყურებდა მთელი თბილისი.

ვისაც პოეტის სახელი ჰქვია, აქ უნდა ამოვიდეს ხშირ-ხშირად, – თქვა ლადომ. ამ მაღლობიდან უნდა გადახედო მეტეხს, ნარიყალას, ძველსა და ახალ თბილისს, თვალი შეავლოს მთაწმინდას, მტკვრის ხეობას და ამაღლდება სიცოცხლესავით, ჩენო თბილისო! – შესძახა მან, – მე შენს ხმაურში სიცოცხლეს ვხედავ და სიჩუმეშიც გუგუნი მესმის!

ნიკა აგიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლის მსურველთა ხელშეწყობის მიზნით

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი **ლევან ზალკალიანი**, მოადგილესთან, **რევაზ ახვლედიანთან**, ჯანმრთელობის და სოციალური სამსახურის უფროსთან, **დავით ჩაკვეტაძესთან** ერთად, პროფესიულ სასწავლებლებში სწავლის მსურველ მოქალაქეთა ხელშეწყობის პროგრამაში ჩართულ ახალგაზრდებს შეხვდა.

ახალგაზრდები სხვადასხვა სპეციალობებს ეუფლებიან, რაც მოთხოვნადია როგორც ლეჩხუმში, ასევე ჩვენს ქვეყანაში.

- შეგახსენებთ, რომ სწავლის მსურველთათვის ცაგერის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა ფულადი დახმარების პროგრამა.
- დახმარებას მიიღებს საქართველოს მასშტაბით, ნებისმიერ ქალაქში არსებულ აკრედიტებულ პროფესიულ სასწავლებელში ჩარიცხული მოქალაქე.
- დახმარება განისაზღვრება ორ ეტაპად: სასწავლებელში ჩარიცხვის დროს
- შვიდ თვემდე სწავლის კურსის შემთხვევაში – 300 ლარის ოდენობით, ხოლო დამთავრების შემდეგ – 700 ლარის ოდენობით;
- შვიდ თვეზე მეტი სწავლის შემთხვევაში ჩარიცხვისას მიიღებს 300 ლარს, ხოლო დამთავრებისას 1700 ლარს.
- მუნიციპალიტეტში წარმოსადგენი საბუთების ჩამონათვალი:
  1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
  2. პირადობის მოწმობის ასლი;
  3. საბანკო ანგარიშის ნომერი;
  4. ცნობა აკრედიტებულ პროფესიულ სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ (დიპლომის ასლი-დამთავრების დროს დამოწმებული ნოტარიულად);
  5. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი.

საზოგადოების დაინტერესებიდან გამომდინარე გაგაცნობთ პროფესიულ სასწავლებლებში წარმოდგენილი პროფესიების ჩამონათვალს:

1. ელექტრობა.
2. შედუღება.
3. მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება.
4. სამკერვალო წარმოება.
5. წყალმომარაგების სისტემის ექსპლუატაცია-დუალური.
6. წყალარინების სისტემის ექსპლუატაცია-დუალური.
7. ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი.
8. ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი-დუალური.
9. იატაკისა და ფილის სამუშაოები.
10. საავტომობილო გზების მშენებლობა-დუალური.
11. სატყეო საქმე ინტეგრირებული.
12. სატყეო საქმე.
13. ფერმერობა ინტეგრირებული.
14. ვეტერინარია.
15. თმის მომსახურება – სტილისტი.
16. კულინარიის ხელოვნება.
17. საბაჟო საქმე.
18. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა.

19. ვებ-ტექნოლოგიები.
20. ხის მხატვრული დამუშავება.
21. საოფისე საქმე.
22. საფინანსო სერვისები.
23. ჰაერის კონდიცირება
24. ხის მხატვრული დამუშავება
25. ბუღალტრული აღრიცხვა.
26. სარესტორნო საქმის სპეციალისტი.
27. კომპიუტერული ქსელები და სისტემები
28. მეხილეობა, მეჩაიეობა.
29. სამღებრო სამუშაოების მწარმოებელი.
30. მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება.
31. აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება.
32. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების სპეციალისტი.
33. სახვითი ხელოვნების სპეციალისტი.
34. ქვის სამუშაოების მწარმოებელი.
35. სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია.
36. აგრო-მექანიზაცია.
37. მეთევზეობა.
38. ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოება.
39. სამკურნალო მცენარეების დამამზადებელი.
40. მეფუტკრე.
41. T-კატეგორიის ტრაქტორისტ- მემანქანე.
42. S-კატეგორიის ტრაქტორისტ-მემანქანე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს

ქრისტეთი შემოსილებო ნათლისღებას გილოცავთ!

ცაგერში ნათლისღების სადღესასწაულო წირვა აღევლინა ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, რომელიც აღავლინა მამა გიორგიმ (მდივანი).

სადღესასწაულო წირვის დასრულების შემდეგ მრევლმა წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის მონასტერში გადაინაცვლა, სადაც წყალკურთხევის, ნათლობის და განბანის რიტუალები აღასრულა მამა ილარიონმა.

სადღესასწაულო წირვა-ლოცვას ესწრებოდნენ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **რევაზ ახვლედიანი**, საკრებულოს თავმჯდომარე **ჭაბუკი ჭაბუკიანი**, მოადგილე **მარიკა კოპალიანი**.

ნათლისღების მადლი ფარავდეს ლეჩხუმს და სრულიად საქართველოს!



გაზეთი აიწყო, დაჯაბადონდა და დაიბეჭდა
ი/მ ბაჯური ჯილაძის მიერ.
მის: ქ. ქუთაისი, აჯ. წერეთლის ქ. №186

სარედაქციო ჯოლეგია:
თამარ დავითულიანი, მზევინარ ძნელაძე,
ეკა ბენდელიანი, ირმა მუშკუდიანი

რედაქციის მისამართია:
ცაგერი, რუსთაველის ქ. №61
ტელ: 551 50 81 50; 598 95 91 11